



საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N9 - იმეილ ბანკი

1. **იმეილ ბანკთან** დაკავშირებული სპეციფიკური დეფინიციები:
 - 1.1. **SOLO კლიენტი** - SOLO ანგარიშთა პაკეტის მფლობელი ფიზიკური პირი.
2. **იმეილ ბანკის** საშუალებით, **კლიენტი** უფლებამოსილია **განაცხადში** დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან, **განაცხადშივე** მოცემული **ბანკის** ელექტრონული ფოსტის მისამართზე, **ბანკს** მისცეს, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **ოპერაციების** შესახებ **დავალეზა** (SOLO კლიენტის შემთხვევაში დავალეზა შესაძლოა გაიცეს ზეპირად, სატელეფონო კომუნიკაციის ფორმით) ან/და ამ **დანართის მე-11 პუნქტით** განსაზღვრული წესით, მოახდინოს **დავალეზის** დადასტურება.
3. **იმეილ ბანკის** საშუალებით **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს შემდეგი **ოპერაციების** შესრულება:
 - 3.1. **გადარიცხვები ბანკში** გახსნილ **ანგარიშ(ებ)ზე** ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (მათ შორის **კონვერტაცია**), ასევე **გადარიცხვები** სხვა ბანკ(ებ)ში და **გადარიცხვები** საზღვარგარეთ, **ბანკში** დადგენილი **ლიმიტების** შესაბამისად;
 - 3.2. **მუდმივი საგადახდო დავალეზის** აქტივაცია/დეაქტივაცია;
 - 3.3. **ავტომატური გადახდის** აქტივაცია/დეაქტივაცია;
 - 3.4. **კლიენტის ანაზარზე** თანხის შეტანა;
 - 3.5. **ბარათის** პრიორიტეტულობის ცვლილება;
 - 3.6. **საბარათე ანგარიშზე** ძირითადი ვალუტის ცვლილება;
 - 3.7. **საკრედიტო ბარათზე** ჩარიცხვა (მიმდინარე გადასახადის დაფარვა);
 - 3.8. სესხის დაფარვა (არაუზრუნველყოფილი, საბლანკო სესხის ძირის შემცირება, წინსწრებით დაფარვა), გრაფიკის ცვლილება;
 - 3.9. **კრედიტზე** გადახდის თარიღის/გრაფიკის ცვლილება;
 - 3.10. ამონაწერის/საბუთის ასლის მიღება.
 - 3.11. კრედიტის (ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად იგულისხმება **ბანკის** მიერ გაცემული/გასაცემი ნებისმიერი სახის/ტიპის კრედიტი) ხელშეკრულების დადება, მათ შორის კრედიტის ხელშეკრულებებში ნებისმიერი სახის ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა. აგრეთვე, კრედიტით სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ოპერაციის განხორციელება და აღნიშნულთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გარიგებების დადება/გაფორმება;
 - 3.12. **ბარათის** (სადებეტო/საკრედიტო) შეკვეთა ან/და განახლება, გარდა **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ბარათების** ტიპებისა.
4. **იმეილ ბანკის** საშუალებით **SOLO კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს შემდეგი **ოპერაციების** შესრულება:
 - 4.1. კრედიტის (ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად იგულისხმება **ბანკის** მიერ გაცემული/გასაცემი ნებისმიერი სახის/ტიპის კრედიტი) ხელშეკრულების დადება, მათ შორის კრედიტის ხელშეკრულებებში ნებისმიერი სახის ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა. აგრეთვე, კრედიტით სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ოპერაციის განხორციელება და აღნიშნულთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გარიგებების დადება/გაფორმება;
 - 4.2. **კრედიტის** წინსწრებით (სრულად ან ნაწილობრივ) დაფარვა;
 - 4.3. **საკომისიოს** ჩამოჭრაზე **ანგარიშ(ებ)ის** რიგითობის/პრიორიტეტულობის განსაზღვრა/ცვლილება;
 - 4.4. **Priority Pass** ბარათის შეკვეთა/დაბლოკვა/გაუქმება;
 - 4.5. **გადარიცხვები ბანკში** გახსნილ **ანგარიშ(ებ)ზე** ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (მათ შორის **კონვერტაცია**), ასევე **გადარიცხვები** სხვა ბანკ(ებ)ში, **ბანკში** დადგენილი **ლიმიტების** შესაბამისად,
 - 4.6. **საგადახდო დავალეზის** გაუქმება;
 - 4.7. **ინტერნეტ-ბანკის** დეაქტივაცია;
 - 4.8. **SMS ბანკის** რედაქტირება (**ფინანსური ნომრის** ცვლილების გარდა)/დეაქტივაცია;

- 4.9. **ბარათის დაცვის მომსახურების** აქტივაცია/დეაქტივაცია;
- 4.10. **ბარათის** (სადებეტო/საკრედიტო) შეკვეთა ან/და განახლება, გარდა **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ბარათების** ტიპებისა;
- 4.11. **ბარათის** დაბლოკვა/განბლოკვა;
- 4.12. **ბარათზე პინ კოდის** აღდგენა;
- 4.13. **ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურებით** სარგებლობა;
- 4.14. საბარათე **ანგარიშზე** ძირითადი ვალუტის ცვლილება;
- 4.15. **ანგარიშიდან** ფულადი სახსრების ჩამოჭრის (დადებითი ნაშთ(ებ)იდან ან **ოვერდრაფტ(ებ)იდან**) პრიორიტეტულობის ცვლილება;
- 4.16. საკრედიტო **ბარათზე** დაანგარიშების თარიღის ცვლილება;
- 4.17. საკრედიტო **ბარათის ლიმიტის** ცვლილება (გაზრდა/შემცირება);
- 4.18. **ანგარიშის** გახსნა/დახურვა; ანაზრის გახსნა/დახურვა, ანაზრზე თანხის დამატება/პირობების ცვლილება/;
- 4.19. სადეპოზიტო სერთიფიკატის გახსნა;
- 4.20. **ელექტრონული ყულაბის** აქტივაცია/დეაქტივაცია
- 4.21. **მუდმივი საგადახდო დავალების** აქტივაცია/დეაქტივაცია;
- 4.22. **ავტომატური გადახდის** აქტივაცია/რედაქტირება/დეაქტივაცია;
- 4.23. ურთიერთობის პროგრამა Plus - ის აქტივაცია/დეაქტივაცია;
- 4.24. დაგროვებითი პროგრამა Membership Reward-ის აქტივაცია/დეაქტივაცია;
- 4.25. Membership Reward ქულების განკარგვა (მათ შორის გაჩუქება);
- 4.26. Membership Reward-ის გაუჩერის გაუქმება;
- 4.27. საკრედიტო შენატანის დაზღვევა;
- 4.28. **ანგარიშთა** პაკეტის აქტივაცია/გაუქმება;
- 4.29. **იმეილ ბანკის** გაუქმება;
- 4.30. **3D უსაფრთხოების სერვისის** აქტივაცია/დეაქტივაცია
- 4.31. **SOLO კლიენტის** სარეგისტრაციო მონაცემების (მისამართი, ელ ფოსტა, **ფინანსური ნომერი**) ცვლილება/დამატება;
- 4.32. ამონაწერის/საბუთის ასლის მიღება;
- 4.33. ცნობის დამზადება (**ბანკის** მიერ განსაზღვრული ცნობის ტიპების შესაბამისად);
- 4.34. ინდივიდუალური ტარიფების განსაზღვრა;
- 4.35. თანხმობა სოლო ფემილი (SOLO Family) პაკეტის აქტივაცია
- 4.36. საბავშვო ანაზრის (დეპოზიტის) დარღვევა;
- 4.37. School Card-ის განახლება;
- 4.38. School Card-ზე განაღდების/გადახდის ლიმიტის ცვლილება;
- 4.39. იპოთეკის მოხსნის მოთხოვნის **განაცხადის** დადასტურება;
- 4.40. **ფულადი გზავნილის** რედაქტირება;
- 4.41. ინდივიდუალური სეიფით სარგებლობის პირობების ცვლილება;
5. **ბანკი კლიენტს** სთავაზობს **იმეილ ბანკით მომსახურებას საბანკო დღის** განმავლობაში. აღნიშნული პირობა შეიძლება დაირღვეს, თუ ნებისმიერი მიზეზით დროებით შეფერხებულია ელექტრონულ ფოსტასთან კავშირი.
6. **განაცხადში** მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან განხორციელებული ნებისმიერი კომუნიკაცია ჩაითვლება **კლიენტის** მხრიდან განხორციელებულ კომუნიკაციად და **კლიენტი** პასუხისმგებელი იქნება ყველა იმ კომუნიკაციაზე, **დავალებაზე** რომელიც განხორციელდება აღნიშნული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან.
7. **იმეილ ბანკით მომსახურებით** თითოეულ ჯერზე სარგებლობისას აუცილებელია **კლიენტმა**, გაიაროს იდენტიფიკაცია, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
8. **კლიენტის** იდენტიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს **დიჯიპასით** დაგენირებული **ერთჯერადი კოდით**, **კლიენტის ფინანსურ ნომერზე** გაგზავნილი **ერთჯერადი კოდით**, ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული ფორმით **ბანკის** მოთხოვნის შესაბამისად.



9. იდენტიფიკაციის წარმატებით გავლის შემდეგ **კლიენტი** პასუხისმგებელია მის მიერ გაცემულ ნებისმიერ **დავალებაზე** იმ შემთხვევაშიც კი როდესაც აღნიშნული **დავალებები** არ იყო გაცემული **კლიენტის** მიერ ან გაცემულია **კლიენტის ავტორიზაციის** გარეშე.
10. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს იმეილ ბანკით** არა ავტორიზებული სარგებლობაზე ექვსის ან რეალური ფაქტების შესახებ ან იმის შესახებ, რომ შესაძლოა **მესამე პირს** ჰქონოდა ან ჰქონდეს გარკვეული წვდომა **განაცხადში** დაფიქსირებულ ელექტრონულ ფოსტასთან.
11. **ბანკი** უფლებამოსილია ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილი ან/და სატელეფონო კომუნიკაციით მიღებული **დავალება** გადაიტანოს **ბანკისთვის** სასურველ ფორმაში (მათ შორის: WORD; PDF და ა.შ.), გაუგზავნოს აღნიშნული სახის **დავალება კლიენტს განაცხადში** დაფიქსირებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე და მოსთხოვოს **კლიენტს** მისი დადასტურება საპასუხო ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის გზით. **კლიენტის** მხრიდან დასტური უნდა განხორციელდეს **ბანკის** მიერ ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის დღის 18:00 საათამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში **დავალება** გაუქმდება ავტომატურად, **კლიენტისათვის** დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე.
12. **კლიენტის** მიერ **დავალების** დადასტურებას აქვს მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა;
13. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს უარი განუცხადოს **კლიენტს იმეილ ბანკით** მომსახურებაზე, ყოველგვარი დასაბუთებების გარეშე.
14. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **ოპერაციის** შესრულებისთვის დადგენილი ვადის დარღვევის შედეგად **კლიენტისთვის** წარმოშობილ ნებისმიერ ზარალზე/ზიანზე ან/და სხვა დამატებით ხარჯებზე, რომელიც გამოწვეულია რაიმე სახის ტექნიკური ან/და მესამე პირების მიერ მომსახურების შეფერხების შედეგად.
15. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს მომსახურების პირობები, მათ შორის, **ოპერაციის** ჩამონათვალი, **ოპერაციის** დადასტურების მეთოდი, ან შეზღუდოს ცალკეული ტიპის **ოპერაციების** შესრულება.